

ვაკის რაიონი ბოლო წლებში თბილისის ერთ-ერთ ყველაზე სპორტულ უბნად გადაიქცა. აქაა თავმოყრილი „ლოკომოტივის“ სტადიონის ძირითადი და სათადარიგო მინდვრები, საქართველოს სპორტკავშირის საცურაო აუზი, დოსააფის ავტომოტოკლუბი, ფიზკულტურის ინსტიტუტი, მისი დარბაზები, საერთო საცხოვრებელი და სხვ. ს უ რ ა თ ზ ე: ვაკის სპორტული კომპლექსი. ფოტო ა. გურასაშვილისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

# გუშინ მოსკოვში

გაიხსნა 1968 წლის საფეხბურთო სეზონი. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე საკავშირო ჩემპიონატის მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი გუნდები — „სპარტაკი“ და „დინამო“.

მოსკოვური სეზონის პირველი გოლი გაიტანა სპარტაკელმა იანკინმა, რომელმაც მიიღო კიდეც სპეციალურად საამისოდ დაწესებული ჯილდო. შემდგომში ოსიანინმა მეორე ბურთი გაგზავნა რაკიტსკის კარში და მხოლოდ მატჩის დასასრულს შეძლო დინამოელთა კაპიტანმა ანიჩკინმა ერთადერთი გოლის გატანა. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვა „სპარტაკმა“.

მატჩის საუკეთესო მოთამაშედ აღიარებულ იქნა სპარტაკელთა მეკარე ვ. მასლაჩენკო. მას გადაეცა „ვეჩერნაია მოსკვას“ ჯილდო.

## გუშინ...

ასკ (როსტოვი) — „დინამო“ (თბილისი) 1:2

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „არარატი“ 1:0

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 76 (3560)

18

1968 წ. აპრილი, ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

## სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# 30 ქულით!

კიევი, 16 აპრილი. დღევანდელი მატჩი ორივე გუნდისთვის დიდი მნიშვნელობისა იყო: ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი არმიელები და ლენინგრადის „სპარტაკი“, რომელთაც ამ მატჩის წინ დაკარგული ქულების ერთნაირი რაოდენობა (14) ჰქონდათ. ლენინგრადელებმა მხოლოდ პირველ ტაიმში შეძლეს ასე თუ ისე წინააღმდეგობის გაწევა მასპინძელთათვის (38:45), შესვენების შემდეგ კი კიეველებმა პირდაპირ გაანადგურეს მეტოქე — 92:62.

### ვათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (თბილისი) | 40 | 28 | 12 | 2957—2764 | 28 |
| ასკ (კიევი) | 42 | 28 | 14 | 2958—2760 | 28 |
| ცსკა | 42 | 26 | 16 | 2775—2633 | 26 |
| „სპარტაკი“ (ლენინგრადი) | 39 | 24 | 15 | 2815—2753 | 24 |
| „სტროიტელი“ (კიევი) | 42 | 24 | 18 | 2744—2682 | 24 |
| „კალევი“ (ტარტუ) | 42 | 21 | 21 | 2765—2707 | 21 |
| ვეფ (რიგა) | 38 | 19 | 19 | 2653—2656 | 19 |
| ასკ (რიგა) | 42 | 19 | 23 | 3065—3064 | 19 |
| „ბურევესტნიკი“ (თბილისი) | 39 | 19 | 20 | 2586—2532 | 19 |
| „ჟალგირისი“ (კაუნასი) | 36 | 18 | 18 | 2520—2486 | 18 |
| „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) | 42 | 9 | 33 | 2857—3231 | 9 |
| „ბურევესტნიკი“ (ბაქო) | 40 | 8 | 32 | 2968—3416 | 8 |

# ჩემპიონის მარცხი

კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონზე დაიწყო თბილისის ჩემპიონატი. შეჯიბრებაში მონაწილეობს ქალთა 6 და ვაჟთა 9 გუნდი. იმ გარემოების გამო, რომ ტურნირი ამავე დროს საქართველოს პირველობისთვის შესარჩევი შეჯიბრებაც არის, ბრძოლა ალბათ ძალიან საინტერესო და უშეღავათო იქნება.

I ტურის ვაჟთა თამაშებიდან ყველაზე დაძაბული გამოდგა ჩვენი რესპუბლიკის ამასწინანდელ ზამთრის ჩემპიონატში გამარჯვებულთა — უნივერსიტეტის კალათბურთელებისა და სამედიცინო ინსტიტუტის ახალგაზრდა კოლექტივის მატჩი. ჩემპიონი დამარცხდა — 49:52. თუმცა ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ უნივერსიტეტელები მოედანზე სრული საბრძოლო შემადგენლობით არ გამოსულან (არ თამაშობდა ა. წერეთელი და მხოლოდ შეხვედრის დასასრულს გამოვიდა ს. იმხნელი). მიუხედავად ამისა, მისასალმებელია გამარჯვება სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტებისა, რომელთაც მეორე ტაიმში თავგანწირულად ითამაშეს (პირველი წააგეს — 20:29). ამ გუნდის გამარჯვებაში ყველაზე მეტი წვლილი შეიტანეს გ. ნატრიაშვილმა (18 ქულა), ა. ლიბრაძემ და ნ. შავდიამ (14-14).

საინტერესო იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდისა და „დინამოს“ შეხვედრა. გაიმარჯვეს სტუდენტებმა — 45:33 (18:15).

დანარჩენი ორი შეხვედრა ასე დამთავრდა: საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი — „შრომითი რეზერვები“ 73:44 (25:23), სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი — „ცისარტყელა“ 59:55 (29:23).

ბრძოლაში ჩაებნენ ქალებიც. პირველ მატჩში სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდმა დაამარცხა უცხო ენათა ინსტიტუტის კალათბურთელები — 46:20. „უმბამ“ მოუგო „შრომითი რეზერვების“ კოლექტივს — 49:30. საინტერესო იყო საქართველოს ზამთრის პირველობაში გამარჯვებული უნივერსიტეტის გუნდისა და ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტების შეხვედრა. დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვეს ჩემპიონებმა — 38:35 (18:14).

**ფ. ლეონიძე.**

# ეს კი მთავარია

**სოჭი, 16 აპრილი.** საკავშირო საგაზაფხულო ველორბოლის IV ეტაპზე უძლიერესი აღმოჩნდა ესტონელი ი. კლაასეპი. 117 კმ მარშრუტით სოჭი — გოლოვინკა — სოჭი მან დაფარა 3 საათში, 22 წუთსა და 45 წამში. მოწინავე ჯგუფში მასთან ერთად 6 მრბოლელი (ნ. ფადეევი, ვ. ჩერკასოვი, პ. იიფერტი, რ. კალნენიეკსი, ი. პოლუპანოვი) მიიჭრა ფინიშთან. 5 წამის შემდეგ ეტაპი დაამთავრა სხვა ჯგუფმა, რომელშიც იყო რბოლის ლიდერი ე. სავინი (მოსკოვის ოლქი).

მაგრამ დღეს ეტაპის გმირად ლენინგრადელი ვ. ბელკოვიჩი მოგვევლინა. 70 კმ მან ეულად იარა. რბოლის სათავეში, — ყველას 2 წუთით უსწრებდა. მაგრამ აქეთობას, უკვე სოჭის მისადგომებთან, მას „მდევრები“ წამოეწივნენ და გაუსწრეს კიდეც. იქნებ, ბელკოვიჩი უანგარიშოდ მოიქცა? საქმე ასე არ არის: მან აქტიურად იასპარეზა და სხვა მრბოლელების ზურგს კი არ ეფარებოდა! თავისი მაგალითით ბელკოვიჩმა სხვებიც აიყოლია და რბოლას, თუ შეიძლება ასე ითქვას, ტემპი მისცა. ეს კი მთავარია!

აი, ტექნიკური შედეგები (ზონიფიკაციის ჩათვლით) 4 დღის ჯამში: 1. ე. სავინი — 11:45.43,1; 2. ი. პომინოვი (ტაშკენტი) — 11:48.35,5; 3. ს. შეპელი (დუშანბე) — 11:48.46,3; 4. ი. კლაასეპი (ტარტუ) — 11:52.42,0; 5. ნ. ფადეევი (ლიპეცკი) — 11:53.38,5; 6. ვ. ჩერკასოვი (მ ო ს კ ო ვ ი) — 11:53.40,2.

## სსრ კავშირის ჩემპიონატი ხელბურთში

# დაკარგული მოგება

მინსკი, 16 აპრილი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). ბელორუსიის დედაქალაქში განახლდა ხელბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი. პირველი წრის დასკვნით ეტაპზე თორმეტივე გუნდმა მოიყარა თავი. ივანო-ფრანკოვსკის ჯგუფში მოასპარეზენი კაუნასის ჯგუფის კოლექტივებს შეხვდებიან.

თბილისის „ბურევესტნიკს“ პირველი თამაში აუტსაიდერთან — ბაქოს არმიელთა გუნდთან ჰქონდა. ჩვენები ამ შემადგენლობით გამოვიდნენ სარბიელზე: ხუციშვილი, ზარდალიშვილი (გაიტანა 1 გოლი), ცერცვაძე (6), ფხაკაძე (4), ექსეულიძე, სეფიაშვილი (3); ითამაშეს, აგრეთვე, კოპალეიშვილმა და ბუნაძემ.

არმიელებს დასაკარგი არაფერი ჰქონდათ, ამიტომ ისინი მთელი ძალით იბრძოდნენ და შეთანხმებულადაც მოქმედებდნენ. პირველი ტაიმი მაინც თბილისელებმა მოიგეს — 8:5.

შესვენების შემდეგ ჩვენები ცუდად თამაშობდნენ და არმიელებმა 43-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრეს — 10:10. მართალია, ფხაკაძემ რამდენჯერმე იმარჯვა და გუნდი დააწინაურა, მაგრამ დაცვის უხეირო თამაშის გამო ამ უპირატესობას სასურველი ნაყოფი არ გამოუღია.

შეხვედრის დამთავრებამდე წუთნახევარი რომ დარჩა, ფხაკაძემ უხეში შეცდომა დაუშვა, რისთვისაც მსაჯებმა მას მოედანი დაატოვებინეს. საფინალო სასტვენამდე 7 წამით ადრე იგივე მიზეზით სარბიელი დატოვა ცერცვაძემ. ამ დროს ანგარიში იყო 14:13 „ბურევესტნიკის“ სასარგებლოდ. ხუთმა თბილისელმა შვიდი არმიელის იერიშს ვერ გაუძლო და მატჩი დამთავრდა ფრედ — 14:14.

გათამაშების ლიდერმა — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდმა ქულა დაკარგა ერთ-ერთ აუტსაიდერთან — მინსკის „პოლიტექნიკთან“ — 23:23. მოსკოვის „კუნცევომ“ ბოლო 10 წუთში გატეხა ტაშკენტის სტუდენტთა გუნდის წინააღმდეგობა, 7 უპასუხო გოლი გაიტანა და გაიმარჯვა — 29:21. კრასნოდარის „ბურევესტნიკმა“ დაამარცხა კაუნასის „ჟალგირისი“ — 27:21, ზაპოროჟიეს „ალუმინსტროიმ“ — ლვოვის ასკ — 25:14, კიევის არმიელთა გუნდმა — რიგის „დაუგავა“ — 16:14.

**ჯ. ინუქიძე.**

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 17 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| მოსკოვის საავიაციო ინსტ. | 6 | 5 | 1 | 0 | 130—100 | 11 |
| „კუნცევო“ (მოსკოვი) | 6 | 4 | 1 | 1 | 110—90 | 9 |
| ასკ (კიევი) | 6 | 4 | 1 | 1 | 86—91 | 9 |
| „ალუმინსტროი“ (ზაპოროჟიე) | 6 | 4 | 0 | 2 | 126—108 | 8 |
| „ბურევესტნიკი“ (თბილისი) | 6 | 3 | 1 | 2 | 100—96 | 7 |
| „ბურევესტნიკი“ (კრასნოდარი) | 6 | 3 | 0 | 3 | 107—97 | 6 |
| „დაუგავა“ (რიგა) | 6 | 3 | 0 | 3 | 114—105 | 6 |
| „ჟალგირისი“ (კაუნასი) | 6 | 3 | 0 | 3 | 131—131 | 6 |
| „ბურევესტნიკი“ (ტაშკენტი) | 6 | 2 | 0 | 4 | 122—133 | 4 |
| „პოლიტექნიკი“ (მინსკი) | 6 | 1 | 1 | 4 | 116—141 | 3 |
| ასკ (ლვოვი) | 6 | 1 | 0 | 5 | 99—124 | 2 |
| ასკ (ბაქო) | 6 | 0 | 1 | 5 | 76—101 | 1 |

● ტოკიო, 16 აპრილი. საბჭოთა კავშირის ფრენბურთელ ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდები ამთავრებენ ტურნეს იაპონიაში. სამშაბათს ვაჟთა გუნდმა დაამარცხა მასპინძელთა ეროვნული ნაკრები — 3:1 (12:15, 15:6, 15:13, 15:8), ხოლო ქალები დამარცხდნენ „ხიტატისთან“ — 0:3 (3:15, 8:15, 12:15). „ხიტატის“ გუნდი იაპონიის ნაკრების ბირთვს წარმოადგენს, რომელმაც მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში უნდა იასპარეზოს. 17 აპრილს გაიმართება საბჭოთა სპორტსმენების ბოლო შეხვედრები ამომავალი მზის ქვეყანაში. ვაჟები კვლავ იაპონიის ნაკრებს ეთამაშებიან, ხოლო ქალები — „იასიკას“.

● **მონტე-კარლო, 17 აპრილი.** საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში გუშინ გაიმართა გადადებული პარტიების დამთავრება. ვ. სმისლოვმა 90-ე სვლაზე დაამარცხა გ. ფორინტოში (უნგრეთი). დასკვნით, XIII ტურში შეჯიბრების ლიდერი ბ. ლარსენი, რომელსაც 9,5 ქულა აქვს 12-დან, ეთამაშება ამერიკელ რ. ბირნს, ბოტვინიკი (8,5 ქულა) — მ. დამიანოვიჩს (იუგოსლავია), სმისლოვი (8) — პ. ბენკოს (აშშ).

● ბერლინი, 17 აპრილი. თანამედროვე ხუთჭიდელთა პირველმა დიდმა საერთაშორისო შეჯიბრებამ საბჭოთა სპორტსმენების მონაწილეობით მათ ორმაგი გამარჯვება მოუტანა. გდრ-ის დედაქალაქის გარეუბანში — კოპენგარტენში გამართულ საკლუბო გუნდების ტურნირში ყველას აჯობა დინამოელმა ბ. ონიშჩენკომ, რომელმაც სეზონის დასაწყისისთვის არც თუ ურიგო შედეგი აჩვენა — 5185 ქულა. გუნდურ ჩათვლაშიც საბჭოთა დინამოელებმა იმარჯვეს — 15.088 ქულა. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ, აგრეთვე, გდრ-ის, უნგრეთის სპორტსმენები და დინამოელთაგან ცალკე — ვილნიუსის გუნდი, რომელმაც IV ადგილი დაიკავა — 14.301 ქულა. პირად ჩათვლაში მეოთხე იყო ვილნიუსელთა უძლიერესი წარმომადგენელი ი. მოსკვიჩევასი — 4952.

● ვიტებსკი, 16 აპრილი. აქ გაიმართა პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ლატვიისა და ბელორუსიის ძალოსანთა საერთაშორისო მატჩი. პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები ახალგაზრდა სპორტსმენებით იყვნენ წარმოდგენილი. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს მასპინძლებმა — ბელორუსიელმა ძალოსნებმა. პოლონელმა ი. ვოინოვსკიმ ეროვნული რეკორდი გაიმეორა ატაცში — 115 კგ. ცალკეულ წონით კატეგორიებში გაიმარჯვეს ფ. ბელენკოვმა (ბელორუსია) — 332,5 კგ. ი. ვოინოვსკიმ — 365 კგ, ზ. კაჩმარეკმა (პოლონეთი) — 395 კგ, რ. ფელდმანმა (ბელორუსია) — 407,5 კგ, ა. პეტრუშეკმა (პოლონეთი) — 445 კგ, ლ. ლევოცკიმ — 455 კგ, გ. რიაბოკონმა (ორივე — ბელორუსია) — 500 კგ.

## ახალი ამბები

# დასახეს სამერმისო გეგმები

ამ დღეებში გაიმართა „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს პლენუმი. ეს თავყრილობა მიეძღვნა სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაში სტუდენტ-სპორტსმენთა მონაწილეობის შედეგებსა და პროფკავშირთა სპორტული ორგანიზაციების ამოცანებს 1968 წლის რესპუბლიკური და საკავშირო სპორტული თამაშებისთვის მზადებასთან დაკავშირებით. მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი და სპეციალური საშუალო განათლების მინისტრის მოადგილე ზ. ფორაქიშვილი.

მომხსენებელმა ვრცლად ილაპარაკა სტუდენტურ სპორტში მოპოვებულ წარმატებებზე. მან აღნიშნა, რომ ამ ბოლო ხანს საგრძნობლად გააუმჯობესეს მუშაობა საქართველოს პოლიტექნიკური, ფიზკულტურის, თბილისის პუშკინის სახელობის, გორის, ქუთაისისა და სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტების სპორტკლუბებმა. „ბურევესტნიკის“ საბჭომ 1967 წელი კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა, წარმატებით შეასრულა ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების გეგმები. ამ საზოგადოების 5 გუნდი საკავშირო ჩემპიონატებში „ა“ კლასში გამოდის.

შარშან 13 ათასმა ბურევესტნიკელმა მიიღო მონაწილეობა 26 რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებაში. ამ ტურნირებში მოპოვებულია რვა I, შვიდი II და თერთმეტი III ადგილი.

„ბურევესტნიკი“ გარკვეულ მუშაობას ატარებს მოზარდებთან. რესპუბლიკური საბჭოს ბავშვთა სპორტსკოლაში 688 მოსწავლე ეუფლება სპორტის 16 სახეობას. ამას გარდა, უნივერსიტეტთან შექმნილ ჯგუფებში 74 მოსწავლე მეცადინეობს, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში — 73, გორის პედინსტიტუტში — 60, ფიზკულტურის ინსტიტუტში — 49 და ა. შ. სულ უმაღლეს სასწავლებლებში მუშაობს 34 ჯგუფი, რომლებშიც 371 მოსწავლეა ჩაბმული.

მომხსენებელმა ილაპარაკა იმ ხარვეზებზეც, რომლებიც ჯერ კიდევ შეინიშნება „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოსა და უმაღლესი სასწავლებლების სპორტულ ორგანიზაციათა მუშაობაში. მაგალითად, თელავის, სოხუმის, ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტებში და თბილისის სამხატვრო აკადემიაში ერთი სპორტის ოსტატიც არ მოუმზადებიათ. მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენების მომზადებას ნაკლები ყურადღება ექცევა სასოფლო-სამეურნეო და სამედიცინო ინსტიტუტებშიც.

რესპუბლიკის IV საიუბილეო სპარტაკიადაში მონაწილე ბურევესტნიკელები ძირითადად თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სპორტსმენები იყვნენ. ქუთაისის ინსტიტუტიდან საიუბილეო სპარტაკიადაში მონაწილეობდა მხოლოდ 16 სპორტსმენი, ბათუმიდან — 5, სოხუმიდან — 8...

სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაში „ბურევესტნიკის“ წარმომადგენლებმა ძალიან მოკრძალებული წვლილი შეიტანეს რესპუბლიკის ნაკრების წარმატებაში. საქართველოს დელეგაციაში ჩვენი საზოგადოების მხოლოდ 106 სპორტსმენი შედიოდა. ამასთან, ძალიან მცირეა ბურევესტნიკელთა ნადავლიც: ვერცხლის 7 და ბრინჯაოს 2 მედალი (ოქროს 15, ვერცხლის 28 და ამდენივე ბრინჯაოს მედლიდან).

შემდეგ მომხსენებელი შეეხო სტუდენტთა 1968 წლის რესპუბლიკური და საკავშირო თამაშებისთვის მზადყოფნის საკითხს.

კამათში მონაწილეობა მიიღეს გ. ხარაულმა (გორის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი), გ. კოზმოვმა (ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტკლუბის თავმჯდომარე), ლ. გაჩავამ (სამხატვრო აკადემიის ფიზაღზრდის კათედრის გამგე), შ. ტრანკაშვილმა (ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრის გამგე), ბ. კონტრიძემ (უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრის გამგე), მ. ცხვედაძემ (საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე), ვ. აფრიდონიძემ (ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრის გამგე), ლ. იცურამ („ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს განყოფილების გამგე), მ. ბერიევმა („ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე).

პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება, რომელშიც ვრცლად არის ასახული სამერმისო გეგმები.

„ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს დავალებით ლ. იცურამ განაცხადა, რომ 1967 წლის სპორტული სეზონის შედეგების მიხედვით მოწყობილ საკავშირო დათვალიერებაში II ადგილის დაკავებისთვის „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭო დაჯილდოვდა გარდამავალი წითელი დროშით და ცენტრალური საბჭოს სიგელით. იცურამ საზეიმო ვითარებაში გადასცა გარდამავალი წითელი დროშა და სიგელი „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს წარმომადგენლებს. სსრ კავშირის სტუდენტურ სპორტულ ორგანიზაციებში I ადგილი დაიკავა უკრაინის საბჭომ, III — ბელორუსიისამ, ხოლო IV — მოსკოვისამ.

## სტუდენტთა თამაშები

# ფრიდონიშვილის სახელობისა...

სპორტულ ტანვარჯიშში გუნდურ პირველობას რესპუბლიკის შვიდი უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლები ეცილებოდნენ ერთმანეთს. ვაჟებში გამარჯვების ძირითადი პრეტენდენტები ფიზკულტურისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტების ტანმოვარჯიშეები იყვნენ, ქალებში — ამ ორი უმაღლესი სასწავლებლისა და სამედიცინო ინსტიტუტის სპორტსმენები.

ამ რამდენიმე წლის წინათ სტუდენტთა თამაშებში მონაწილე ტანმოვარჯიშე ვაჟთა გუნდებისთვის გორის პედაგოგიურმა ინსტიტუტმა ჯემალ ფრიდონიშვილის სახელობის გარდამავალი თასი დააწესა. ეს ჯილდო პირველად თბილისის უნივერსიტეტის ვაჟებმა მოიპოვეს, შემდეგ წლებში კი მას პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები დაეპატრონნენ. ამჯერადაც ამ გუნდმა ისახელა თავი: მესამედ დაისაკუთრა თასი. ჯილდოს პირველმა მფლობელმა წლევანდელ გუნდურ შეჯიბრებაში წარმატებას ვერ მიაღწია — სრული გუნდი ვერ დავაკომპლექტეთო. არადა, უნივერსიტეტში სწავლობენ ს. სხირტლაძე, შ. აზარაშვილი, ყ. ღუდუშაური, ე. ექსუზიანი, ო. ჯინჯიხაშვილი, ნ. ბიკოვა... საქმე ის გახლავთ, რომ მათი უმრავლესობა საღამოს დასწრებული ან დაუსწრებელი ფაკულტეტების სტუდენტია. დებულების თანახმად კი შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება მხოლოდ დღის დასწრებული ფაკულტეტების სტუდენტებს აქვთ. ვითომ გამართლებულია დებულებაში ასეთი პუნქტის შეტანა?

არ შეიძლება გვერდი ავუარო მსაჯობაში დაშვებულ რამდენიმე უხეშ შეცდომას. მაგალითად, მსაჯთა ბრიგადა 7,2 ქულის მაგიერ ორძელზე (არბიტრი — რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ა. ცომაია) ვარჯიშის შეფასებას 8,1 ქულის ფარგლებში იძლეოდა. მსაჯთა კოლეგიას ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია. შემდეგ ამავე ბრიგადამ მეორე შეცდომა დაუშვა: ტაიჭზე ვარჯიში შეუფასებელი უნდა დარჩენილიყო, მსაჯებმა კი ამ იარაღზე გამოსვლისთვის ტანმოვარჯიშეს 6,5 ქულა მიაკუთვნეს.

ო. კოჩინაშვილი.

### ტექნიკური შედეგები

**საერთო გუნდური.** 1. სპი — 751,267 ქულა, 2. ფიზკულტურის ინსტიტუტი — 733,041, 3. გორის პედინსტიტუტი — 612,542; **ქალთა გუნდები.** 1. სპი — 294,927, 2. სამედიცინო ინსტიტუტი — 294,337, 3. ფიზკულტურის ინსტიტუტი — 287,338; **ვაჟთა გუნდები.** 1. სპი — 456,34, 2. ფიზკულტურის ინსტიტუტი — 445,703, 3. გორის პედინსტიტუტი — 364,384.

**ქალები (პირადი): ოსტატებში.** 1. ც. ჭკადუა (სამედიცინო ინსტიტუტი) — 73,6, 2. მ. ჯინჭარაძე (სახელმწიფო უნივერსიტეტი) — 72,5, 3. ე. გვალია (ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 72,45; **ოსტატობის კანდიდატებში.** 1. ლ. ჩიტიშვილი (სპი) — 69,25, 2. გ. ებანოიძე (სპი) — 68,5, 3. ნ. ჩერკასოვა (ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 67,7.

**ვაჟები (პირადი): ოსტატებში.** 1. შ. აზარაშვილი (თსუ) — 107,8, 2. თ. კოხრეიძე (სპი) — 106,0, 3. კ. გელოვანი (სპი) — 105,45; **ოსტატობის კანდიდატებში.** 1. რ. მაქაცარიძე — 106,25, 2. ვ. დოლოვი — 105,75, 3. ი. კოტოვი — 104,65 (სამივე — ფიზკულტურის ინსტიტუტი).

**გამარჯვებულები ცალკეულ იარაღებზე. ქალები.** თავისუფალ ვარჯიშში — მ. ჯინჭარაძე, დვირზე, ორძელსა და ბჯენით ხტომებში — ც. ჭკადუა. **ვაჟები.** ორძელზე, თავისუფალ ვარჯიშში, ტაიჭსა და რგოლებზე — შ. აზარაშვილი, ბჯენით ხტომებში — კ. გელოვანი, ძელზე — თ. კოხრეიძე.

# სპორტიდან მეცნიერების ძნელ გზაზე



რევაზ ქვაჩაკიძისთვის სპორტული სარბიელი არც მოწაფეობაში იყო უცხო. მუხიანში პირველ ფეხბურთელს ეძახდნენ, წყალტუბოს რაიონულ ჩემპიონატებშიც მონაწილეობდა, მაგრამ როგორც სპორტსმენი, იგი მაინც თბილისის უნივერსიტეტში „აღმოაჩინეს“.

...ბიოლოგიის ფაკულტეტის პირველკურსელებთან ტრიფონ მესხი ფიზკულტურის გაკვეთილს ატარებდა. აღმზრდელმა სიგრძეზე ხტომაში შეაჯიბრა სტუდენტები. ქვაჩაკიძე 540 სანტიმეტრზე გადახტა. ეს მისთვის პირველი მძლეოსნური ტურნირი იყო და შედეგი მოულოდნელი გახლდათ. მესხმა ურჩია, მძლეოსნობის სექციაში დაიწყე მეცადინეობა არჩილ კონსტანტინოვთანო.

პირველი წარმატება მალე მოვიდა. 1955-56 სასწავლო წელს უნივერსიტეტის სტუდენტთა ფესტივალზე რევაზმა სიმაღლეზე ხტომაში პირველობა დაისაკუთრა (160 სმ), სიგრძეზე ხტომაში კი II ადგილი დაიკავა — 593 სმ. წარმატებამ ფრთები შეასხა ჭაბუკს.

საქართველოს ახალგაზრდობის ფესტივალის სპორტული თამაშები. ქვაჩაკიძემ სიგრძეზე ხტომაში 682 სმ აჩვენა, ჩემპიონობა მოიპოვა და რესპუბლიკის ნაკრებში ჩაირიცხა. ამას მოჰყვა საკონტროლო შეჯიბრება ლესელიძეში, სადაც რევაზი 7 მეტრზე გადახტა — I თანრიგის ნორმატივი შეასრულა. მალე, სსრ კავშირის პირველობაში ამ შედეგს მან 16 სანტიმეტრი წაუმატა, რისთვისაც საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში შეიყვანეს.

1958 წელი. ქვაჩაკიძე 713 სანტიმეტრზე გადახტა და საქართველოს ჩემპიონობა შეინარჩუნა. ასეთივე შედეგი აჩვენა მან „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონატში (II ადგილი), ხოლო შემდეგ ხარკოვში, ახალგაზრდობის სპორტსკოლების პირველობაში მხოლოდ ო. ფედოსეევთან წააგო, თუმცა საქართველოს რეკორდი (737 სმ) გაიმეორა.

სსრ კავშირის ხალხთა II სპარტაკიადის შემდეგ ქვაჩაკიძემ შეცვალა წვრთნის გეგმა — სიგრძეზე ხტომის გარდა ვარჯიშობდა სამხტომში, თარჯრბენში, სიმაღლეზე ხტომაში, ათჭიდში. ვარჯიშის ამგვარმა მეთოდმა კარგი ნაყოფი გამოიღო: ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და მოლდავეთის მძლეოსანთა მატჩში, რომელიც ერევანში ჩატარდა, საქართველოს ჩემპიონი 763 სანტიმეტრზე გადახტა. ამით მან ერთბაშად სამი კურდღელი დაიჭირა — პირველობა მოიგო, სპორტის ოსტატობა მოიპოვა და საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა.

მაშინ ასეთი შედეგი იშვიათი იყო. სსრ კავშირის გუნდი რომის ოლიმპიადისთვის ემზადებოდა და რევაზი ნაკრების წევრად ჩარიცხეს. სპეციალისტების ვარაუდი გამართლდა — მოსკოვში ხანმოკლე ვარჯიშის შემდეგ თბილისელი ოსტატი სსრ კავშირის სტუდენტთა II თამაშების ცენტრს, ხარკოვს ეწვია და გამარჯვებასთან ერთად საერთაშორისო კლასის შედეგიც მოიპოვა — 779 სანტიმეტრზე გადახტა. ეს თამაშების რეკორდიც გახლდათ (იგი კიდევ უცვლელია).

რომი. პირველი დიდი საერთაშორისო ტურნირიდან ქვაჩაკიძე გამარჯვებული არ დაბრუნებულა, მაგრამ მდიდარი გამოცდილება კი შეიძინა. ეს არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო მისი შემდგომი ზრდისთვის.

1961 წელს რევაზმა წარმატებით დაამთავრა უნივერსიტეტი და ასპირანტურაში ჩაირიცხა ბოტანიკის სპეციალობით. სულ მალე იგი აკადემიკოს ნ. კეცხოველის ხელმძღვანელობით შეუდგა მუშაობას სადისერტაციო თემაზე: „კახეთის კავკასიონის სუბალპური სარტყლის ძირითად მერქნიან მცენარეთა ფიტოცენოზური პოზიციები და ეკოლოგიურ-ბიოლოგიური თავისებურებანი“.

სპორტი არც ასპირანტურაში სწავლის დროს დაივიწყებია. შემდეგაც ბევრს ვარჯიშობდა და ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ სახელს იცავდა საკავშირო სარბიელზე.

რევაზმა კიდევ ორჯერ მოიგო საქართველოს ჩემპიონობა, მოძმე რესპუბლიკების მატჩი, სტუდენტთა თამაშები... თანდათან სხვა სახეობებშიც (თარჯრბენი, მრავალჭიდი) დაოსტატდა და წარმატებანიც მოიპოვა.

1967 წლის ოქტომბერში ახალგაზრდა სპორტსმენმა და მეცნიერმა წარმატებით დაიცვა დისერტაცია ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, წლეულს თებერვალში კი სსრ კავშირის უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა მისთვის ამ ხარისხის მინიჭება.

ახლა რევაზ ქვაჩაკიძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის (დირექტორი აკადემიკოსი ნ. კეცხოველი) მეცნიერ-მუშაკია და სპორტის სამსახურსაც არ ივიწყებს — ინსტიტუტში ფიზკულტურას უძღვება. აკადემიკოსი ნ. კეცხოველი ფიზკულტურისა და სპორტის დიდი მეგობარია. იგი დახმარებას არ აკლებს ახალგაზრდა ენთუზიასტს. ინსტიტუტში ბოლო წლებში ფართოდ გაიშალა მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა, შეიქმნა სექციები, მოეწყო სპორტული ბაზები. მეცნიერებათა აკადემიის სპარტაკიადებში ამ ინსტიტუტის სპორტსმენები თითქმის მუდამ საპრიზო ადგილებზე არიან.

— როგორია თქვენი სამერმისო გეგმები? — ვკითხეთ რევაზს გამომშვიდობებისას.

— მთავარი, რა თქმა უნდა, მეცნიერული სამუშაოა, მაგრამ არც მეორე, საყვარელ საქმეს ვუღალატებ. მთელ თავისუფალ დროს ვარჯიშს ვახმარ და იმედი მაქვს, კვლავაც არ შევარცხვენ ქართველი სპორტსმენის სახელს.

ო. ბელაშვილი.

• • •

**სურათებზე:** ზევით — რ. ქვაჩაკიძე; ქვევით — ქვაჩაკიძე ასპარეზობის დროს.

ფოტო ავტორისა.



## ისევ გადახნული მინდვრის თავზე და ისევ ქარელის რაიონში

# ტრაქტორი... საჭარიმო მოედანზე

ქარელის რაიონის სოფელ ზემო ხვედურეთში სპორტული მოედნებისთვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთს გადახვნა არც წლეულს ასცდა. კოლმეურნეობის მესვეურებს ბევრმა ურჩია, ნაკვეთი სათესის მოშორებით გამოყავითო, მაგრამ რჩევა ყურად არვინ იღო. ასე გრძელდება რამდენიმე წელიწადია.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ კ. მარღიშვილმა გვითხრა: გამგეობის სხდომაზე გადავწყვიტეთ ფეხბურთის, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნებისთვის ორნახევარი ჰექტარი გამოგვეყო, აქვე საჭიდაო სარბიელსაც მოვაწყობთო.

სოფლის თავკაცის სიტყვებში ეჭვი არ შეგვიტანია, მით უმეტეს, რომ შუა სოფელში შორიდანვე მოჰკარით თვალი ფეხბურთის კარის ძელებს. მაგრამ... მინდორზე ჯერ ბურთიც არ აუგდიათ და მომავალი სარბიელი უკვე სანახევროდ გადახნული დაგვხვდა. ბელტებს ისევ ოხშივარი ასდიოდა მზის გულზე.

...კოლმეურნეობას ა. გეგელაშვილის კუთვნილი ფართობი გამოუყენებია და სამაგიეროდ, სადაც ხელს დაადებ, იქ მოგცემთო, უთქვამთ. ისიც ამდგარა და მაინცდამაინც ჯერ ფეხდაუკარებელი ფეხბურთის მინდვრისკენ გაუშვერია ხელი, — ან აქ, ან არსადაო. იყოს ნება შენიო, უთქვამს თავმჯდომარეს და სტარტზე მდგარი ტრაქტორი ხელის დაქნევისთანავე მოსწყვეტია ადგილს.

— ძელებს ხელი არ ახლოთ! შორიდან დაინახავენ და იფიქრებენ მოედანს აწყობენო, — გაუმჟღავნებია ტაქტიკური ჩანაფიქრი თავმჯდომარეს.

— ძელებს ხელი არ ახლოთო! თუ მინდორი არ იქნება, ძელები რისი მაქნისია? — გულში ხითხითებდა ტრაქტორისტი, როცა უკანასკნელი კვალი გაავლო საჯარიმო მოედნის ნაწილზე.

ფეხბურთის მინდორზე რომ ჩამოვუგდეთ სიტყვა, ა. გეგელაშვილმა ერთი ამბავი ატეხა: რის ბურთი, რის მოედანი, რად მინდა ისეთი ბაღჩა, თუ ბურთი დღენიადაგ იგორებს შიგ. პირობა მომცეს, რაც გადაუხნავი დარჩა, არც იმას გამოვიყენებთო. აბა, სიტყვას ნუ შეასრულებენ... ვიჩივლებო, — დაემუქრა სოფლის თავკაცებს.

როგორც ჩანს, ზემოხვედურელებს არც ამ ზაფხულს ეღირსებათ სპორტული მოედნები.

ქარელის რაიონი.

თ. ბაჩიჩილაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

## ლახტის წრეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლიდერის როლში * დინამოელები წინ მიიწევენ *

„ა" კლასი II ჯგუფი

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 16 აპრილი.
„ლოკომოტივი" (თბილისი) — „სტროიტელი" (უფა) 4:0 (1:0).
„ლოკომოტივი": გრძელიშვილი, მირიანაშვილი, ონიანი, ფრიდმანი, გეგეჭკორი, ძაგანია, შხვაცაბაია, ჭელიძე (ღოღობერიძე), მიქაშავიძე (მესხაძე), მაზიაშვილი, მელიქიძე.
„სტროიტელი": გურიანოვი (პერვუხინი), ფილატოვი, კადინცევი, ხრომენკოვი, ლისტრატოვი, პრუსაკოვი, ტიულიხოვი, სოკოლოვსკი, აქსიონოვი (რუფიევი), სტარკოვი, შვანოვი.
მსაჯი ა. ბალაიანი (ბაქო).
დუბლიორები — 1:0 „ლოკომოტივის" სასარგებლოდ.

ბათუმი. „დინამოს" სტადიონი. 16 აპრილი.
„დინამო" (ბათუმი) — „მეტალურგი" (მაგნიტოგორსკი) 2:0 (1:0).
„დინამო": კვახაძე, დიმანოვი, ქორიძე, სირბილაძე, მ. გაგუა, ილურიძე, რ. გაგუა, კვიტაიშვილი, ოვანესიანი (ნაზაროვი), მაისურაძე, ვერულიძე.
„მეტალურგი": მალაევი, ზინინი, სულეიმანოვი, კურლიგინი, პრუდნიკოვი, შესტაევი, გუსევი, რილვო (ბურხანოვი), კოჩნევი, კოჟუხოვი, მასალსკი.
მსაჯი გ. შირინიანი (ერევანი).
დუბლიორები — 0:0.

ტყიბული. „განთიადის" სტადიონი. 16 აპრილი.
„მეშახტე" (ტყიბული) — „ლოკომოტივი" (ჩელიაბინსკი) 1:1 (1:0).
„მეშახტე": ძიძიგური, ყანჩაველი, ჩუბინიძე, ლორთქიფანიძე, ჩიტიანი, გიორგობიანი, შარაშენიძე, ქარქაშაძე, ამირანაშვილი, თოდიძე (ჯიშკარიანი), აუშტროვი.
„ლოკომოტივი": კუზნეცოვი, მარინოვი, იაკოვლევი, ვლადიმიროვი, ალეევი, პისკუნოვი, შუბინი, მაკაროვი, ვასკოვსკი, მაქსიმენკო, ბრიაზრინი (კიმზიაკულოვი).
მსაჯი ი. გრიგორიევი (ბაქო).
დუბლიორები — 2:1 „ლოკომოტივის" სასარგებლოდ.




თბილისის „ლოკომოტივის" გრაფიკი.

ნახ. გ. ფირცხალავასი.

## მომენტი ბევრი იყო...

მატჩიდან მატჩამდე აუმჯობესებენ თამაშს თბილისის ლოკომოტიველები, რომლებიც 3 ტურის შემდეგ ერთპიროვნული ლიდერების როლში გვევლინებიან თავიანთ ქვეჯგუფში. სამივე მატჩი მოგებულია დამაჯერებლად, საგრძნობი უპირატესობით, ამასთან, გუნდს არ მიუღია არც ერთი გოლი (ბურთების სხვაობა 9—0).

„ლოკომოტივს" ახლა ჰყავს ახალგაზრდული, კარგად შეთამაშებული შემადგენლობა, რომელიც თანაბარი ძალისაა ყველა რგოლში. სუსტი ადგილები, როგორც ეს უწინ იყო, აღარაა და კიდევ მეტიც: გუნდს გააჩნია ტოლფასოვანი რეზერვი, რომელიც მწვრთნელებს საშუალებას აძლევს შეცვლა მოახდინონ უდანაკარგოდ, ძალების შეუსუსტებლად (ასეთებია მესხაძე, გვასალია, ღოღობერიძე და სხვანი).

ახლა მთავარია ალებული სტარტის შენარჩუნება და მდგომარეობის შემდგომ გაუმჯობესებაზე ფიქრი.

უფის „სტროიტელთან" მატჩში მასპინძელთა უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა პირველივე წუთებიდან ბოლომდე, „მშრალი" გამარჯვებაც სავსებით შეესაბამება თამაშის მსვლელობას.

ანგარიში 36-ე წუთზე გახსნა ჭელიძემ ზუსტი დარტყმით დაბალ კუთხეში. შესვენების შემდეგ კუთხურიდან მოწოდებული ბურთი სწრაფად გათამაშდა სტუმრების საჯარიმო მოედანზე და ძაგანიამ ეფექტურად გაგზავნა იგი კარში—2:0. 73-ე წუთზე „სტროიტელის" დაცვაში დაშვებული შეცდომა კარგად გამოიყენა მელიქიძემ, რის შემდეგ ძაგანიამ კიდევ ერთხელ აიღო სტუმრების კარი.

რ. ქორიძე.

* * *

ბათუმელ ფეხბურთელებს არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ თავიანთ მოწინააღმდეგეზე — ეს იყო მათი პირველი მატჩი „მეტალურგთან". ამიტომ შეხვედრის დასაწყისს დაზვერვის ხასიათი ჰქონდა. გავიდა ათიოდე წუთი და გამოირკვა, რომ სტუმრების დაცვას სულ უფრო უჭირდა ბრძოლა მეტოქის აქტიურ თავდამსხმელთა წინააღმდეგ. მალე დიმანოვმა ზუსტი გადაცემით გაიყვანა საჯარიმო მოედანზე რ. გაგუა. ამ უკანასკნელმა მოატყუა მცველი, შემდეგ კარიდან წინ გამოსული მეკარეც და გახსნა ანგარიში — 1:0.

შეტევები „მეტალურგის" კართან სულ უფრო ძლიერდებოდა. ტაიმის დასასრულამდე მაისურაძეს ორჯერ შეეძლო აეღო კარი, მაგრამ პირველ შემთხვევაში მან არაზუსტად დაარტყა, ხოლო მეორედ მეკარე მალაევმა უკანასკნელ მომენტში ძიუსწრო მას ფეხებში.

დაახლოებით ასე მიმდინარეობდა ბრძოლა მეორე ტაიმშიც. 75-ე წუთზე მაისურაძემ კარგად გამოიყენა ილურიძის გადაცემა და თავით გაიტანა მეორე ბურთი. ახლა ბათუმის დინამოელებს 5 ქულა აქვთ 6 შესაძლებლიდან.

ო. მურვანიძე.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

* * *

მიუხედავად იმისა, რომ დასაწყისი მიმდინარეობდა ორმხრივ იერიშებში, ტყიბულელებს უკვე ადრევე შეეძლოთ ანგარიშის გახსნა. შემდეგ, 25-ე წუთზე ქარქაშაძისგან მიღებული ბურთით ამირანაშვილი გავიდა მოპირდაპირე მცველებს შორის და გაიტანა გოლი — 1:0. მალე კარგად გათამაშებული კომბინაცია შარაშენიძე — ქარქაშაძე ამ უკანასკნელმა ვერ გამოიყენა.

მეორე ტაიმი დაიწყო იმით, რომ ამირანაშვილმა დაკარგა ბურთის გატანის რეალური შესაძლებლობა. ამ ეპიზოდს მოჰყვა ლოკომოტიველთა სწრაფი კონტრიერიში და მაკაროვმა არ დააყოვნა ესარგებლა მასპინძელთა კართან შექმნილი არეულობით — 1:1. რამდენიმე წუთის შემდეგ კარგ მდგომარეობაში აღმოჩნდა ალეევი და ძიძიგურს თავგანწირული ნახტომით მოუხდა თავისი გუნდის კარის ხსნა.

შემდგომში „მეშახტემ" კვლავ ხელთ აიღო ინიციატივა და აუშტროვმა, ჯიშკარიანმა და ქარქაშაძემ დაკარგეს ბურთის გატანის საუკეთესო შესაძლებლობანი.

ზ. ჯორჯაძე.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

* * *

### სხვა შეხვედრები

ასე დამთავრდა: „ტორპედო" (ტაგანროგი) — „თერგი" (გროზნო) 0:1, „დინამო" (მახაჩყალა) — „ზენიტი" (იჟევსკი) 2:0, „ფოლადი" (სუმგაითი) — „ზვეზდა" (პერმი) 0:1, „შირაკი" (ლენინაკანი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 0:2, „ვოლგა" (ულიანოვსკი) — „რუბინი" (ყაზანი) 0:1, „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) — „სპარტაკი" (იოშქარ-ოლა) 1:0, „ვოლგარი" (ასტრახანი) — „ვოლგა" (გორკი) 1:0.

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

„ბ" კლასი

გაიმართა „ბ" კლასის გუნდების მორიგი შეხვედრები. ჩვენი კორესპონდენტები ტელეფონით გვატყობინებენ:

### გორიდან...

აქ ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დილა" და ვოლჟსკის „ენერგია". მატჩი თითქოს გორელთა საერთო უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ ამას მხოლოდ ტერიტორიული ხასიათი ჰქონდა. როგორც კი შეტევა უახლოვდებოდა კარს, თავდამსხმელები იბნეოდნენ, უხეიროდ თამაშობდნენ და იშვიათად ურტყამდნენ კარში.

უფრო ტემპიანი გამოდგა მეორე ტაიმი, მაგრამ ისევ ნათლად იგრძნობოდა მასპინძელთა უკბილობა შეტევის დასასრულს. შეიძლება აღინიშნოს მხოლოდ ერთი მომენტი, როცა კობიაშვილმა შორიდან ძლიერად დაარტყა კარში, მაგრამ ბურთის აღება შეძლო მეკარე ტრუფანოვმა.

მაყურებლები დარწმუნებული იყვნენ, რომ მატჩი ფრედ დამთავრდებოდა, ვინაიდან მიმდინარეობდა 90-ე წუთი, ანგარიში კი არ ჩანდა. და აი, ამ ბოლო წუთზე კაპანაძემ მიიღო გრძელიშვილის გადაცემა და გაიტანა ბურთი მეტოქის კარში — 1:0.

გ. გოზალიშვილი.

### რუსთავიდან...

ადგილობრივი „მეტალურგის" პირველი მეტოქე იყო „ხიმიკი" (ბალაკოვო).

მასპინძლებმა თავიანთ შესაძლებლობაზე აშკარად დაბლად ჩაატარეს მატჩი. ეს თავიდანვე იყო შესამჩნევი. მეტალურგებმა ტაიმი ისე დაამთავრეს, რომ სულ ორიოდე სახიფათო მომენტი თუ შექმნეს „ხიმიკის" კართან (ჯერ ძელს მოხვდა ბურთი, ხოლო შემდეგ ჭანტურიამ ახლოდან არაზუსტად დაარტყა).

მდგომარეობა თითქოს გამოსწორდა შესვენების შემდეგ, მაგრამ სტუმრებმა 65-ე წუთზე სწრაფად გაითამაშეს კონტრშეტევა და პეტრენკომ შორიდან ზუსტად დაარტყა კარში — 1:0.

„მეტალურგის" ყველა ცდას გაეტანა თუნდაც საპასუხო გოლი, შედეგი არ მოჰყოლია. ხელსაყრელი მომენტები ვერ გამოიყენეს ყურშუბაძემ და კონიაშვილმა. ამას გარდა, კარგად ითამაშა „ხიმიკის" მეკარე კრასნობაევმა.

რ. ბაბრიშიძე.

### კიდევ 3 თამაში

გურჯაანის „ალაზანმა" შინ დაამარცხა (2:0) ენგელსის „ტრუდი". მოგებით დაიწყო გათამაშება ლანჩხუთის „გურიამაც", რომელმაც საკუთარ მინდორზე აჯობა კასპიისკის „ტრუდს" — 3:0.

მახარაძის „მერცხლისა" და თელავის „კახეთის" შეხვედრა, რომელიც მახარაძეში შედგა, დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 2:1.

# სინდისით მოვაჭრენი

ფელეტონი

### მელოდრამის ახალი ჟანრი პროლოგითა და ეპილოგით

„ლელოს" მკითხველთა საყურადღებოდ: ლიტერატურათმცოდნეობის ლექსიკონში მელოდრამა ასეა განმარტებული: დრამა, რომლის მონაწილენი იყოფიან კეთილ და ბოროტ ადამიანებად. დადებით გმირებს აქვთ უჩვეულო ბედი, ვარდებიან უცნაურ და გამოუვალ მდგომარეობაში, მაგრამ გმირი მუდამ იმარჯვებს. ჩვენი მიზანია გაგაცნოთ მელოდრამის ახალი ჟანრი, სადაც ბოროტნი ჯერჯერობით გამარჯვებას ზეიმობენ.

**მოქმედების დრო და ადგილი:** 1967 წლის 19 ოქტომბერი, ტყიბული.

**მოქმედი პირნი:** ფეხბურთელთა გუნდები—„მეშახტე" (ტყიბული) — „დინამო" (კიროვაბადი). მსაჯი ი. ადამოვიჩი (მოსკოვი).

#### პროლოგი

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში „ა" კლასის II ჯგუფის I ქვეჯგუფის გუნდებს შორის. ბოლო ტურის წინ გათამაშების ცხრილში ძალიან საინტერესო მდგომარეობა შეიქმნა: 50-50 ქულით I-II ადგილებს იყოფენ კიროვაბადის „დინამო" და რიგის „დაუგავა". 19 ოქტომბერს „დაუგავა" შინ ხვდება სტავროპოლის „დინამოს", ხოლო მის უახლოეს მეტოქეს — კიროვაბადის „დინამოს" გასვლითი მატჩი აქვს ტყიბულში ადგილობრივ „მეშახტესთან".

კალენდარულ შეხვედრამდე რამდენიმე დღით ადრე ტყიბულს ეწვია საკავშირო კატეგორიის მსაჯი, ბაქოელი ი. გრიგორიევი. როგორც კიროვაბადის „დინამოს" ოფიციალური წარმომადგენელი, მოსალოდნელი იყო, რომ იგი მატჩის მაღალ დონეზე ჩატარების თაობაზე ჩამოუგდებდა სიტყვას ქალაქის სპორტული ორგანიზაციის ხელმძღვანელებს, საფეხბურთო მინდვრის ხარისხს შეამოწმებდა და ა. შ. მაგრამ იგი ოფიციალურ პირებთან კი არა, რატომღაც ტყიბულელ ფეხბურთელებთან „საუბრით" იყო დაინტერესებული...

და აი, მინდორზე გამოდიან გუნდები.

„მეშახტე": პავლოვი, ჩხენკელი, ჩუბინიძე, ნაზაროვი, კიზირია, ჩიტიანი, გიორგობიანი (შარაშენიძე), სირაძე, დავითულიანი, ჩხარტიშვილი, აუშტროვი.

კიროვაბადის გუნდის წევრთა ჩამოთვლა აუცილებლობას არ წარმოადგენს.

თამაშის შემდეგ პრესა წერდა: „პირდაპირ უნდა ითქვას, ტყიბულელმა ფეხბურთელებმა არ ისურვეს ნამდვილი სპორტული ვაჟკაცობის გამოჩენა, არ ისურვეს ეთამაშათ როგორც საჭირო იყო და, ფაქტიურად, უბრძოლველად დათმეს მატჩი". მართლაც, თამაშის დაწყებიდან 15 წუთიც არ იყო გასული, ანგარიში გახდა 3:0 კიროვაბადის „დინამოს" სასარგებლოდ.

„მეშახტემ" აირჩია თამაშის ახალი ტაქტიკა, რომელიც ჯერ არ იყო ცნობილი ფეხ-ბურთის სამყაროში. მოთამაშეთა განლაგება ასეთი გახლდათ: 1+2+6+10. ნურას უკაცრავად, ფეხბურთს 18 კი არა, 11 კაცი თამაშობსო, — იტყვის მკითხველი. გადახედეთ „მეშახტის" შემადგენლობას და ეს სისტემა ასე გაიშიფრება: № 1+ № 2+ № 6 + № 10 = პავლოვი + ჩხენკელი + კიზირია + ჩხარტიშვილი. ამ ფეხბურთელებმა განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მინდორზე უმოქმედობით და შექმნეს შთაბეჭდილება, თითქოს კიროვაბადელთა დამხმარე ძალას წარმოადგენდნენ.

... შარშან გაზეთ „პრავდის" 24 ნოემბრის ნომერში დაბეჭდილი ა. სუკონცევისა და ი. შატუნოვსკის ფელეტონი — „უცხო კაცი კარში" ყუმბარასავით გასკდა ფეხბურთის სამყაროში. საყოველთაო ზიზღი გამოიწვია ყარაგანდის „შახტიორის" ვაიკაპიტნის ვ. სარუმოვისა და კიევის არმიელთა მეკარე ა. გურბიჩის გარიგებამ, რომლის თანახმადაც მეკარემ სამი იოლად ასაღები ბურთი გაუშვა და საზღაურად მეტოქე გუნდის კაპიტნისგან 600 მანეთი აიღო. ჩვენი სპორტისთვის გაუგონარი ამბავი მოხდა და იგი მყისვე იქცა გაკიცხვის საგნად.

მკითხველი გაიკვირვებს: ანგარიშის გარდა (3:1) რა აქვთო საერთო ყარაგანდაში მომხდარ ყალთაბანდობას და ტყიბულში გამართულ მატჩს? საქმე ის არის, რომ ერთ დღეს ქალაქში ხმა დაირხა: თანაგუნდელები „გაყიდეს" სირაძემ და ნაზაროვმაო...

**მოქმედების დრო და ადგილი:** 1967 წლის 19 ნოემბერი, თბილისი. საქართველოს სპორტკავშირში განიხილავენ ტყიბულის „მეშახტის" ფეხბურთელთა გუნდში შექმნილ საგანგაშო მდგომარეობას. სპორტკავშირი ადგენს: დისციპლინის სისტემატური დარღვევისთვის კოლექტივიდან გაირიცხონ და 3-3 წლით დისკვალიფიკაცია მიეცეთ ფეხბურთელებს რ. ნაზაროვს, რ. კიზირიას, რ. სირაძეს, ხოლო ზ. ჩუბინიძე განთავისუფლებულ იქნას კაპიტნის მოვალეობიდან და მიეცეს პირობითი დისკვალიფიკაცია 2 წლით. დისციპლინის დარღვევისთვის პირობითი დისკვალიფიკაცია მიეცეთ: 2 წლით — ფეხბურთელებს შ. ჩიტიანს, ჯ. შარაშენიძეს; 1 წლით — ნ. ბუაძეს, ვ. ჩხარტიშვილსა და რ. მელიქიძეს. თითქოს ყველაფერი მოგვარდა: ბოროტსა სძლია კეთილმან და, როგორც იტყვიან, სამართალმა პური ჭამა. მაგრამ ახლა ირკვევა, რომ კიროვაბადის „დინამოსთან" ტყიბულელთა „ახალი სისტემით" მოთამაშე კვარტეტიდან მკაცრად დასჯილთა შორის აღმოჩნდა მხოლოდ რ. კიზირია.

**მოქმედების დრო და ადგილი:** 1968 წლის მარტის პირველი რიცხვები. სოხუმი.

ამ დროს შავი ზღვის სანაპიროს უამრავი ფეხბურთელი ჰყავს სტუმრად. სოჭის, სოხუმის, გაგრის, ხოსტის, ლეჩკოპის სტადიონებს მოცლა არა აქვთ. ეს განსაკუთრებით იგრძნობოდა წლეულს, როცა ამ ადგილებში გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" პრიზის — „ენძელას" თასის გათამაშება მოეწყო.

სოხუმში ძველი ნაცნობები შეხვდნენ და მოიკითხეს ერთმანეთი. ერთის მხრივ ეს გახლდათ მოსკოველი მსაჯი ი. ადამოვიჩი, მეორეს მხრივ — ტყიბულის „მეშახტე", რომელსაც აფხაზეთის დედაქალაქში „ენძელას" თასზე კალენდარული მატჩი ჰქონდა თბილისის „ლოკომოტივთან". მოსკოველი არბიტრი ამჯერად ტყიბულელთა შეხვედრას როდი სჯიდა. მასზე საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა არა პავლოვის, ჩხენკელისა და ჩხარტიშვილის ოსტატურმა თამაშმა, არამედ, უბრალოდ, ამ ფეხბურთელთა დანახვამ გუნდის მოთამაშეთა შორის.

ადამოვიჩმა გაკვირვებისგან თავი გადააქნია და თქვა:

— ნუთუ კიდევ თამაშობენ თქვენს გუნდში ეს მექრთამეები? მათ ხომ ფული აიღეს კიროვაბადის „დინამოსგან"!

ეს სრული სიმართლე იყო, სიმართლე მწარე და უჩვეულო. ტყიბულელთა ოთხმა ფეხბურთელმა ქრთამი აიღო. მანეთებზე რომ გადავიყვანოთ პავლოვის, ჩხენკელის, ჩხარტიშვილისა და კიზირიას შარშანდელი კომბინაცია, იგი ასე გამოიხატება: 300 + 400 + 400 + 400 = 1500 მანეთს.

— ნუთუ ვერ ამჩნევდით, რა უგულოდ თამაშობდნენ მოსყიდული ფეხბურთელები? — განაგრძო ადამოვიჩმა.

კი, მაგრამ თქვენ საიდან იცით ეს ამბავი, ადამოვიჩო? ამტკიცებთ, რომ გარიგება ტყიბულშივე მოხდა და თანხაც იქვე განაწილდა. თუ ეს მატჩის დაწყებამდე გაიგეთ, რატომ მაშინვე არ მიიღეთ ზომები, ან დღემდე პირი წყლით რატომ გქონდათ სავსე? ტყიბულელ ფეხბურთელებს — თავიანთი ქალაქის ღირსებისთვის ჭეშმარიტად მებრძოლ სპორტსმენებს (მათ შორის, სირაძესაც და ნაზაროვსაც) ეეჭვებათ, კიროვაბადელთა გულუხვობამ მატჩის მომსახურე მსაჯთა ტრიოც ხომ არ აცდუნა?..

სხვათა შორის, 21 ოქტომბრის „ლელო" ამ თამაშის მსაჯობის თაობაზე წერდა, ერთობ არაკვალიფიციურად ჩაატარა მატჩი არბიტრმა ადამოვიჩმაო.

#### ეპილოგი

**მოქმედების დრო და ადგილი:** 1968 წლის აპრილის შუა რიცხვები, ტყიბული. „მეშახტე" უკვე ჩაება საკავშირო გათამაშებაში, მაგრამ გუნდში აღარ არიან ნაზაროვი და სირაძე. პავლოვი, ჩხენკელი და ჩხარტიშვილი არხეინად უყურებენ ახალგაზრდა ფეხბურთელებს, რომელთაც ჯერჯერობით უჭირთ გამოცდილ მეტოქეებთან შერკინება. ეს სამეული გუნდში ირიცხება, მატჩებში კი არ მონაწილეობს. რას ელიან? მკაცრი სასჯელის გარდა რას უნდა ელოდნენ, ან თანაგუნდელებს რა პირით შესცქერიან ეს სინდისით მოვაჭრენი, რომელთაც ურცხვად და მუხანათურად გაყიდეს მშობლიური გუნდი?

ზ. ჯაფარიძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).
ტყიბული.

# ბრძოლა ერთადერთი საგზურისთვის

გდრ, უნგრეთი, იუგოსლავია, გფრ — ასეთია წრიდიან ბილიკზე მოტორბოლაში წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის გეოგრაფია. ამ ქვეყნების ტრასებზე ერთდროულად (4-5 მაისს) გაიმართება პირველი ეტაპი — ევროპის ჯგუფის სპორტსმენთა მეოთხედფინალური შეჯიბრებები. კონტინენტის ფინალურ ასპარეზობაში საუკეთესონი მსოფლიო ჩემპიონატის გადამწყვეტ ტურნირში ბრძოლის უფლებას მოიპოვებენ.

სსრ კავშირის ნაკრები უკვე შეუდგა მზადებას. შეირჩნენ უძლიერესნი, რომელთაც სათავეში უდგას მსოფლიო პირველობის ვერცხლის პრიზიორი ი. პლეხანოვი. მაგრამ გუნდს სათადარიგო წევრი აკლდა და ამიტომ იყო, რომ თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე ორ დღეს გაგრძელდა შესარჩევი ტურნირი ჩვენი ქვეყნის 18 საუკეთესო სპიდვეისტის მონაწილეობით. ნაკრების საგზურისთვის იბრძოდნენ მსოფლიოს ჩემპიონი ყინულოვან ბილიკზე რბოლაში, სპორტის დამსახურებული ოსტატი ბ. კადიროვი (უფა), მისი თანაქალაქელები რ. საფაროვი, გ. ბრაგინი, ვ. დაგაევი; თბილისელები ვ. კლიმენტიევი და ს. ლიომინიდი; ვ. კორნეევი, ო. გონჩაროვი (ორივე — სალავათი) და სხვ.

საგზურის მაძიებლები შაბათს და კვირას 5-5-ჯერ გამოვიდნენ სტარტზე, ასე რომ, ერთმანეთს ხვდებოდა ტურნირის ყველა მონაწილე (ბრძოლაში ერთდროულად მხოლოდ 4 მოტოციკლისტი ებმება).

მოგების ანგარიში რ. საფაროვმა გახსნა: ი. დუბინინთან (ნოვოსიბირსკი), კ. ვედუტთან (კადიევკა) და ნ. მატიუხინთან ჭიდილში ოთხი წრე ყველაზე სწრაფად მან შემოირა და 3 ქულა მოიპოვა (ცდაზე გამარჯვებულს ეძლევა 3, II ადგილზე გასულს — 2, III — 1, IV — 0 ქულა). მეორე ჯგუფში კადიროვმა იმარჯვა, მესამეში — დაგაევმა, მეოთხეში — კონონოვიჩმა.

კლიმენტიევმა პირველ გასვლაზე 2 ქულა მიიღო, მაგრამ მეორე, მეოთხე და მეხუთე გასვლაზე იმარჯვა და დღის ბოლოს 13 ქულა ჰქონდა. მას მხოლოდ თითო ქულით უსწრებდნენ კორნეევი და კადიროვი. აღსანიშნავია, რომ იმ დღეს ყველაზე საინტერესო სწორედ კლიმენტიევისა და კადიროვის დუელი გახლდათ. კლიმენტიევმა პირველსავე მოსახვევში ხელთ იგდო ლიდერობა და საქვეყნოდ აღიარებულ სპორტსმენს ამოსუნთქვის საშუალება აღარ მისცა. სერია თბილისელმა მოიგო.

კვირას ბრძოლა ახალი ძალით გაჩაღდა. მეტოქენი თითქოს თავიდან იწყებდნენ ტურნირს. შეჯიბრების ასე ჩატარება იმითაც არის კარგი, რომ შემთხვევითობა სავსებით გამორიცხულია. პირველობის მაძიებლები — კორნეევი და კლიმენტიევი წილისყრამ პირველივე ცდაზე შეახვედრა ერთმანეთს. მანამდე კადიროვმა ცდის მოგებით კიდევ 3 ქულა შემატა თავის აქტივს და ახლა ფარეხიდან უთვალთვალებდა საგზურის სხვა მაძიებლების ჭიდილს.



წინა დღით კორნეევ—კლიმენტიევის ბრძოლა სალავათელის მცირე უპირატესობით დამთავრდა. თბილისელი სპორტსმენი სპიდვეის მხოლოდ სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში გაეცნო, მაგრამ უკვე ჩვენი ქვეყნის უძლიერესთა შორის დაიმკვიდრა ადგილი. ამიტომ იყო, რომ სტადიონზე შეკრებილი ათასობით მაყურებელიც მისგან რევანშს ელოდა. კლიმენტიევმა შესანიშნავად დაიწყო: მეტოქენი ერთ ხანს მხარდამხარ მიდიოდნენ, მაგრამ კორნეევის გამოცდილებამ თავისი გაიტანა და სტუმარმა მასპინძელს ფინიშთან ნახევარი ბორბლით მიასწრო.

კორნეევი ამ შეჯიბრებისთვის ბრწყინვალედ რომ მომზადებულა, ეს მეორე სერიამაც დაადასტურა. ამჯერად მან კადიროვი „დასცა ბეჭებზე" და ტურნირის ერთპიროვნული ლიდერიც გახდა. ახლა იგი კადიროვს 1 ქულით უსწრებდა. სამაგიეროდ, ასეთივე სხვაობა იყო კადიროვისა და კლიმენტიევის შედეგებს შორისაც, ოღონდ კადიროვის სასარგებლოდ. თბილისელს II ადგილზე გასვლის შანსი კიდევ ჰქონდა. ეს იყო ბოლო ცდაზე (მანამდე კლიმენტიევმაც, კადიროვმაც და კორნეევმაც მოიგეს თავიანთი ცდები), როცა ერთმანეთს სპორტის დამსახურებული ოსტატი და თბილისელი ოსტატი შეხვდნენ.

კლიმენტიევი დაწინაურდა. მაგრამ თავი იჩინა გამოუცდელობამ: სპორტსმენმა მოსახვევში სისწრაფეს უკლო, რითაც კადიროვმა ისარგებლა და პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი.

მსაჯებმა ორი დღის შედეგები შეაჯამეს. პირველობა წილად ხვდა კორნეევს — 28 ქულა. II ადგილზე გავიდა კადიროვი — 27, III — კლიმენტიევი — 26 ქულა. პრიზიორებს საზეიმოდ გადაეცათ საქართველოს ავტომოტოსპორტის ფედერაციის პრიზები. მათვე მიიღეს სპეციალური პრიზები — კლიმენტიევმა, როგორც თბილისელთა შორის უძლიერესმა, კორნეევმა კი ტურნირში საუკეთესო შედეგის (1.17,0) ჩვენებისთვის. კადიროვს ხვდა პრიზი, რომელიც ბოლოს ასპარეზობის საუკეთესო კვარტეტმა გაითამაშა.

ჟ. ქაჯაია,
ო. ივდოშვილი.

* * *

სურათზე: შეჯიბრების მომენტი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



# 5:2

სოხუმი, 17 აპრილი. მსოფლიო პირველობის მეოთხედფინალური მატჩის — ე. გელერ—ბ. სპასკის ორთაბრძოლის VII პარტიაში ბრძოლა უაღრესად დაძაბულად წარიმართა. ხუთსაათიანი თამაშის შემდეგ პარტია გადაიდო. გუშინ, თამაშის განახლებისას, ბრძოლამ ახალი ძალით იფეთქა, მაგრამ მან არც ერთ მეტოქეს არ მისცა უპირატესობა და შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

ამრიგად, მატჩის ანგარიშია 5:2 სპასკის სასარგებლოდ. ორთაბრძოლის მოგებისთვის მას ნახევარი ქულაღა სჭირდება.

## უკანასკნელ საათს

◆ *ლიონი, 17 აპრილი. დღეს აქ დაიწყო ევროპის პირად-გუნდური ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში. საბჭოთა გუნდებმა თავიანთ ქვეჯგუფებში დაამარცხეს შოტლანდიელები: ვაჟებმა — 5:2, ქალებმა — 3:0.*

# კომბინაციამ დაასვირგვინა

## სპასკი — გელერი

მატჩის VI პარტია

**1. e4 c5 2. მc3 d6 3. g3 მc6 4. კg2 g6 5. d3 კg7 6. f4.**

ღიდოსტატთა შეხვედრაში ბრძოლის ბედს, პირველ ყოვლისა, ღრმა სტრატეგია წყვეტს. სპასკიმ აირჩია სიცილიური დაცვის დახურული ვარიანტი, რომელიც არ იძლევა სადებიუტო უპირატესობას, სამაგიეროდ, ფანტაზიისა და შემოქმედებისთვის საუცხოო სარბიელს ჰქმნის შუა თამაშში.

**6. ... მf6 7. მf3 0—0 8. 0—0 ეb8 9. h3 b5.**

მეტოქეთა სტრატეგიული გეგმაა: გელერი უტევს ლაზიერის, სპასკი კი მეფის ფრთას. იმარჯვებს ის, ვინც ადრე მიიჭრება მეტოქის მეფესთან. გელერს იმედი ჰქონდა, რომ იგი მოასწრებდა ლაზიერის ფრთის დამსხვრევას და თეთრი მეფის დარბევასაც, მაგრამ შეცდა.

**10. a3 a5 11. კe3 b4 12. ab ab 13. მe2 კb7.**

აქამდე გამეორდა IV პარტია. მაშინ გელერმა შეძლო კარგი პოზიციის მიღება. მართალია, ბოლოს მან წააგო, მაგრამ ეს დებიუტის მიზეზით არ მომხდარა. სპასკი არ აჰყვა მეტოქეს. მან, როგორც ჩანს, ღრმად ჩაიხედა ამ მდგომარეობაში და იერიშის უფრო დახვეწილ გზას მიაგნო.

**14. b3 ეa8 15. ეc1 ეa2 16. g4 ლa8 17. ლe1 ლa6 18. ლf2 მa7.**

გელერმა ფიგურებს ბრძოლის ადგილას მოუყარა თავი, როგორც ამას სამხედრო მოძღვრება მოითხოვს. მაგრამ სწორად ვერ შეაფასა, რომ შავი მეფის მცირერიცხოვანი გარნიზონი ვერ გაუმკლავდებოდა თეთრების მომხვდურ ძალებს.

**19. f5 მb5 20. fg hg 21. მg5 მa3 22. ლh4 ეc8.**



სახელგანთქმული სტეინიცი ამბობდა, პოზიციური თამაშით მოპოვებული უპირატესობის რეალიზება კომბინაციით ხდებაო. სპასკის პოზიცია, განსაკუთრებით, მეფის ფრთაზე, თავისით ითხოვს ქმედითი ზომების მიღებას. ალბათ, მხოლოდ აქ იგრძნო გელერმა თავისი სტრატეგიის მცდარობა: არც ერთ ფიგურას (ეტლის გარდა) არ შეუძლია დაეხმაროს თავის მეფეს. სპასკის კომბინაცია უნაკლოა. იგი წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებს.

**23. ე:f6! ef 24. ლh7+ მფf8 25. მ:f7!**

მთლიანად ძირს უთხრის შავი გვირგვინოსნის თავშესაფარს. როგორ მოიქცნენ შავები? არ შეიძლება 25. ... მფ:f7 26. კh6 ეg8 27. მf4 მფf8 28. მ:g6+ მფf7 29. მh8+ მფf8 30. ლg6 და თეთრები აიძულებენ შავებს აიყვანონ მხედარი, რასაც სწრაფი განადგურება მოსდევს.

გელერი სტრატეგიული გეგმის გაგრძელებაში ეძიებს შველას, მაგრამ ამაოდ.

**25. ... ე:c2 26. კh6 ე:c1+.**

არ შველოდა 26. ... კ:h6, რადგან 27. მ:h6 მფe8 28. მf4! შემდეგ შავი მეფე საშამათო ქსელშია.

**27. მ:c1 მფ:f7 28. ლ:g7+ მფe8 29. g5 f5.**

რა თქმა უნდა, სწრაფად აგებდა 29. ... fg 30. კ:g5-ის გამო. შამათი გარდუვალია.

**30. ლ:g6+ მფd7 31. ლf7+ მფc6 32. ef+.**

გელერი დანებდა. იგი ფიქრობდა მეფე გაეხიზნა, მაგრამ მერე დაინახა, რომ სპასკი 32. ... მფb6 33. ლ:b7+ ლ:b7 34. კ:b7 მფ:b7 35. f6 შემდეგ ადვილად იგებს ენდშპილს და ბრძოლაც შეწყვიტა.

შენიშვნები თ. გიორგაძისა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თბილისის სპორტულ ცხოვრება

**ჭადრაკი.** ცენტრალური საჭადრაკო კლუბი (რუსთაველის პრ. № 48). **18-20 აპრილი. შესარჩევი შეჯიბრება ქალთა საერთაშორისო ტურნირისთვის.** დასაწყისი 16 ს.

**ძალოსნობა.** სპორტის სასახლე. **19-20 აპრილი. თბილისის სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა პირად-გუნდური პირველობა.** დასაწყისი 17 ს.

## ჩვენი კალენდარი

### მოსწავლეთა XXIV...

*თბილისში მიმდინარეობს ქალაქის მოსწავლეთა 24-ე სპარტაკიადა, რომელიც მიძღვნილია ლენინური კომკავშირის დაარსების 50 წლისთავისადმი. მოგვყავს სპარტაკიადის განრიგი:*

*ფარიკაობა. 18-21 აპრილი. „ბურევესტნიკის" დარბაზი.*

*ჭადრაკი. 18-27 აპრილი. „დინამოს" საჭადრაკო კლუბი. ბესიკის ქ. № 4.*

*კალათბურთი. 18 აპრილი-15 მაისი. ფიზკულტურის ინსტიტუტის მოედნები.*

*ფეხბურთი. 18 აპრილი-15 მაისი. ლენინის სახ. სტადიონი.*

*ფრენბურთი. 22 აპრილი-15 მაისი. სპორტნაგებობათა სამმართველოს მოედნები. პლეხანოვის პრ. № 117.*

*მაგიდის ჩოგბურთი. 23-27 აპრილი. თბილისის განათლების განყოფილების დარბაზი. 1 მაისის ქ. № 2.*

*კრივი. 25-27 აპრილი. ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს დარბაზი. ა. წერეთლის პრ. № 1.*

*მხატვრული ტანვარჯიში. 25-27 აპრილი. თბილისის განათლების განყოფილების დარბაზი. პეტრიაშვილის ქ. № 7.*

*ცურვა. 25-28 აპრილი. „სპარტაკის" აუზი. 300 არაგველის ქ. № 1.*

*ჩოგბურთი. 25-30 აპრილი. „დინამოს" კორტები.*

*ხელბურთი. 25 აპრილი-16 მაისი. სპორტნაგებობათა სამმართველოს მოედნები. კიროვის პარკი.*

*წყალში ხტომა. 26-28 აპრილი. საქართველოს სპორტკავშირის ზამთრის საცურაო აუზი.*

*ველოსპორტი. 4 მაისი. საქართველოს სამხედრო გზის 30-ე კმ.*

*წყალბურთი. 4-15 მაისი. „სპარტაკის" აუზი. 300 არაგველის ქ. № 1.*

*თავისუფალი ჭიდაობა. 7-10 მაისი. „ფალავანთა დარბაზი". ი. ჭავჭავაძის პრ. № 49.*

*ნიჩბოსნობა. 8-10 მაისი. თბილისის ზღვა.*

*მძლეოსნობა. 8-14 მაისი. „დინამოს" სტადიონი.*

*ტყვიის სროლა. 11-16 მაისი. კიროვის რაიონის დოსააფის ტირი. გორგასალის ქ. № 2.*

*მძლეოსნური კროსი. 11-19 მაისი. ვაკის პარკი. იპოდრომი.*

*კლასიკური ჭიდაობა. 12-14 მაისი. „ფალავანთა დარბაზი". ი. ჭავჭავაძის პრ. № 49.*

*სპორტული ტანვარჯიში. 14-16 მაისი. თბილისის განათლების განყოფილების დარბაზი. პეტრიაშვილის ქ. № 7.*

*ტურიზმი. 17-20 მაისი. დუშეთის რაიონი, ბუსნის ჭალა.*

*შეჯიბრებების დასაწყისი 15 საათზე, კვირა დღეებში — 10 საათზე.*

### ტექნიკუმელთა III...

*დედაქალაქის სპორტულ ბაზებზე დაიწყო თბილისის ტექნიკუმების III სპარტაკიადა. აი, შეჯიბრებათა განრიგი:*

*მძლეოსნობა. 18 აპრილი. „დინამოს" სტადიონი.*

*ფრენბურთი. 18-20 აპრილი. სპორტნაგებობათა სამმართველოს ფრენბურთის მოედნები, პლეხანოვის პრ. № 117.*

*კალათბურთი. 18-23 აპრილი. ლენინის სახელობის დარბაზი.*

*ტანვარჯიში. 20-21 აპრილი. სპორტნაგებობათა სამმართველოს ტანვარჯიშული დარბაზი. სანაპიროს ქ. № 8.*

*ქართული ჭიდაობა. 23-25 აპრილი. კიროვის სახელობის პარკი.*

*ცურვა. 25-26 აპრილი. „შრომითი რეზერვების" აუზი. ოქტომბრის ქ. № 134.*

*ძალოსნობა. 27-28 აპრილი. „დინამოს" სტადიონის ძალოსნური დარბაზი.*

*ველოსპორტი. 28 აპრილი. თბილისის ზღვის რკალი.*

*სპარტაკიადის საზეიმო გახსნა — 20 აპრილს, ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში, 18 საათზე.*

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 9 უე 04038